სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

I კვარტლის ანგარიში

2016 წლის I კვარტალის ანგარიში, რომელიც მოიცავს იანვარი, თებერვალი, მარტის საანგარიშო პერიოდს. ანგარიშში ნარატიული ფორმით განხილულია: რა სიახლეებია; რა მიღწევებია; რა მოხდა მნიშვნელოვანი მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს მოკლე ინფორმაციას მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების/ხედვების შესახებ.

- შესავალი
- მედია წარმოების ბლოკი (დანართი 1)
- მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი (დანართი 2)
- ახალი და მინდინარე ამბების ბლოკი (დანართი 3)
- ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკი (დანართი 4)
- წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი (დანართი 5)
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (დანართი 6)
- იურიდიული სამსახური (დანართი 7)
- არქივი (დანართი 8)

შესავალი

შესავალ ნაწილში მოცემულია მოკლე მიმოხილვა 2016 წლის I კვარტალში შესრულებული სამუშაოებისა.

I. მედია წარმოების ბლოკი

აღიარება/ჯილდო/ნომინაცია

საზოგადოებრივი ჩართულობა/კამპანიურობა

ტრანსმისია - გადაცემა "ტრანსმისია" CIRCOM-ის 2016 წლის დაჯილდოების რჩეულ გადაცემად დასახელდა.

რეალური სივრცე - გენდერული თანასწორობის ადვოკატირებასა და ქალთა საკითხების გაშუქებისთვის გადაცემამ გაიმარჯვა საუკეთესო მედიაპარტნიორის ნომინაციაში.

პროექტი რაგბი აქაურობას - წლის საუკეთესო პროექტად დასახელდა რაგბის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

რაგბის გუნდი აბასთუმანში - გამგეობასთან მოლაპარაკების და მაყურებლის დახმარებით ჩამოყალიბდა რაგბის გუნდი. თვეში 8-ჯერ მწვრთნელი ადის ადიგენიდან აბასთუმანში, ხოლო თვეში 4-ჯერ ბავშვები სამარშრუტო ტაქსს დაყავს ადიგენში, ტრანსპორტირების თანხა გროვდება პროექტის "რაგბი აქაურობას" მეგობრებთან ერთად.

პროექტ რაგბი "აქაურობას" და გადაცემა "რეალური სივრცე" - რაგბის გუნდი მესტიაში - პროექტების "რეალური სივრცე" და „რაგბი აქაურობას" ინიციატივით, რაგბის კავშირის და მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მესტიაში შეიქმნა რაგბის გუნდი.

ფილმი "ვაზში დაკარგულები" - საფრანგეთში, OENOVIDEO -ს საერთაშორისო კინოფესტივალზეა წარდგენილი.

წიგნების თარო - მოზარდების დანაშაულთა პრევენციის ფოკუს ჯგუფში „წიგნების თარო" ყველაზე სასურველ გადაცემად დასახელდა.

საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად კვარტლის განმავლობაში გადაცემის პარალელურად ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში მიმდინარეობდა ბლოგერების კონკურსი. 3 თვის განმავლობაში მაუწყებლის ვებ გვერდზე 15 -16 წლის მოზარდების მიერ გამოქვეყნდა 80-ზე მეტი ბლოგ პოსტი.

ფერმა - გადაცემის „ფერმა“ აგროჟურნალისტის, დემეტრე ერგემლიძის სიუჟეტი ღვინის ისტორიის და ინდუსტრიის განვითარების შესახებ ნომინირებული იყო ევროპის მაუწყებელთა ასოციაციის კონკურსზე.

ფილმი „ხელმწიფე“ - საერთაშორისო აღიარება მოიპოვა შალვა შენგელის ფილმმა "ხელმწიფე".

ფილმები „მწვანე ოქროს ქვეყნიდან“ და „მანგანუმის ქალაქში“ - მოიპოვეს დიპლომები სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე.

ინოვაციური ლაბორატორია - პირველად ქართულ მედია სივრცეში გადაცემები ფეისბუქ ლაივით - ლაბორატორიის ინიციატივით პირველად ქართულ მედია სივრცეში განხორცელდა მაუწყებლის გადაცემების ფეისბუქზე ლაივსტრიმით მაუწყებლობა.

კომუნიკატორი - "ექსკლუზიური ინტერნეტ-მაუწყებლობა" - კომუნიკატორმა განახორცელა ექსკლუზიური ინტერნეტ-მაუწყებლობა, რომელიც გულისხმობს მაუწყებლობას მხოლოდ ონლაინ აუდიტორიისთვის.

კომუნიკატორი - სოციალური პროექტი "ნარკოზონა" - კომუნიკატორმა განახორციელა კამპანიური ხასიათის ყოველკვირეული პროექტი "ნარკოზონა", რომლის მიზანია ქვეყნის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემის - ნარკომანიისა და მასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

დილა პირველზე - მივიწყებული ქართული სიტყვები - გადაცემამ ,,დილა პირველზე'' განახორციელა კამპანიური ხასიათის სოციალური აქცია "მივიწყებული ქართული სიტყვები", რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მივიწყებულ ქართულ სიტყვებს იხსენებენ. პროექტის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ ენას.

წიგნების თარო - ბათუმში წიგნების თაროს ანალოგი - ბათუმში ამჟამად იმართება ინტერნეტ გადაცემა **„წიგნის კუთხე“,** რომელიც ზუსტად „წიგნების თაროს“ პრინციპზეა დაფუძნებული. საზოგადოებრივი ჩართულობის აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გადაცემის ბრენდად პოზიციონირებას, რომელიც ქართველი მაყურებლის ცნობიერებაში აღიქმება, როგორც ახალი თაობის წიგნიერების სიმბოლო.

დილა პირველზე - ძველი თბილისის სადარბაზო - 2 კვირიანი კამპანიის ფარგლებში მოსახლეობა ჩართული იყო ძველი თბილისის სადარბაზოების კამპანიური ხასიათის აქციაში. ძველი თბილისის სადარბაზო, რომლის ფოტომაც ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა, პროფესიონალებმა უსასყიდლოდ (პროდაქტ პლეისმენტის ფარგლებში) სპეციალური ხსნარებით დაამუშავეს და დაასუფთავეს. (პროცესში მონაწილეობას იღებდნენ "დილა პირველზე" წამყვანები.

წიგნების თარო - საზაფხულო ბანაკი გადაცემის ყველა მონაწილეს - „წიგნების თაროს“ პირველი სეზონის ყველა მონაწილე (104 მოზარდი) ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, ივლისის თვეში 10 დღით ანაკლიის ბანაკში მიდის.

ფერმა - „ჯანსაღი საგზალი სკოლისათვის“ - მონაწილეობა მიიღო კამპანიური ხასიათის აქციაში სასურსათო უსაფრთხოების პოპულარიზაციის მიზნით.

ფერმა - „მედიის როლი სოფლის მეურნეობის ექსტენციაში“ - ფერმამ მონაწილეობა მიიღო ფერმერთა ფორუმში - „მედიის როლი სოფლის მეურნეობის ექსტენციაში“, სადაც გადაცემა „ფერმის“ მიერ განხორციელებული ექსტენციური სიუჟეტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს - როგორ და რაში გამოადგათ მათ გადაცემიდან მიღებული ინფორმაცია და ტელეკონსულტირება.

ევროვიზია - ევროვიზიაზე საქართველოს სახელით მონაწილე ჯგუფი “Young Georgian Lolitaz” ფინალურ ეტაპზე გადავიდა.

სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები

მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები:

- განხორციელდა მედია წარმოების საშტატო ერთეულების საპროექტო ჯგუფებად ფორმირება, როგორც ტელე, ისე რადიო მიმართულებით.
- განხორციელდა არსებული საშტატო ერთეულების სახელწოდებების ოპტიმიზაციის პროექტი.
- მოხდა ბლოკის სახელწოდების ცვლილება და კრეატულ ბლოკი გახდა - მედია წარმოების ბლოკი.
- ტელეფილმების მიმართულება დაიყო ორ სტრუქტურულ ერთეულად - "ტელე ფილმების სტუდია" და "დოკუმენტური ფილმების სტუდია"
- სპორტული მიმართულება მედია წარმოების ბლოკიდან სხვა სტურქტურულ ერთეულში გადავიდა.

- კროს-ჟანრის მიმართულების შეეცვალა სახელწოდება და გახდა - მულტიჟანრული მიმართულება

საწარმო და მენეჯმენტ პროცესების ოპტიმიზაცია

შემუშავდა **პროგრამული პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგისთვის განსაზღვრული ანგარიშგების ფორმულარი**.

შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ჩაეშვა **პროექტის წარმოების ფაზის სტანდარტული პროცუდურების ფორმულარი**.

შემუშავდა **მედია წარმოების ბლოკის მენეჯმენტ პროცესების გეგმიური კალენდრის ფორმულარი.**

შეიქმნა **გადაცემების (სტუდიური, გარე) გადაღება/მონტაჟის ტიპური ფაზები და გრაფიკი**.

ფორმირებულია **სიუჟეტების გადაღება/მონტაჟის ტიპური ფაზები და გრაფიკი** .

სამომავლო გეგმები/ხედვები

- ახალი სეზონის პროექტების განვთარების მიზნით, ველოდებით კვლევის შედეგებს. ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია ახალი ფორმატები: პრაიმ ზოლში - კულტურურულ საგანმანათლებლო პროექტი, დილა პირველზე განახლების პროექტი; შუადღის გასართობ შემეცნებითი ფორმატის თოქ შოუ; გასართობი მიმართულების შოუ საღამოს ეთერისთვის.
- იგეგმება ორიგინალური პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით/დაცვით გაწერა. (ტრანსმისია, ადამიანი კამერით)
- იგეგმება წამყვანების საკონკურსო წესით შერჩევა ახალი სეზონისთვის.
- იგეგმება ვიზიტი ფინეთის საზოგადოებრივ მაუწყებელში, მედია წარმოების ბლოკის ანალოგური სტრუქტურის, მენეჯმენტ და წარმოების პროცესების გაცნობის და შემდგომი დანერგვის მიზნით
- იგეგმება კო პროდუქციული საქმიანობის განვითარება/დანერგვა, როგორც გადაცემების, ისე ტელე ფილმების მიმართულებით.
- იგეგმება სპორტული ზაფხულის ფარგლებში მოკლევადიანი პროექტების განვითარება

- იგეგმება რადიო არხების ფორმატების და გადაცემების ტრანსფორაციის/ოპტიმიზიაციის პროექტის განხორციელება
- ინოვაციურ ლაბორატორიში განვითარების სტადიაშია ორიგინალური, ტრასნმედიალური პროექტი დამატებითი რეალობის თამაშის ელემენტებით
- ხორციელდება არსებული პროექტების პასპორტიზაციების განახლება.
- შემუშავების პროცესშია მედია წარმოების ბლოკის სახელმძღვანელო, რომლის საშუალებითაც როგორც ბლოკის საშტატო ერთეულებს, ისე სხვა სტრუქტურულ ქვედააყოფებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი ინფორმაცია: ბლოკის სტრუქტურის, უფლება მოვალეობების, საპროექტო ჯგუფების, ამოცანების, ვალდებულებების და ა.შ. შესახებ.
- შემუშავების პროცესშია ტელეფილმების წარმოების ფაზების სტანდარტიზაციის პროექტი.
- იგეგმება პროექტების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.
- იგეგმება საპროექტო ჯგუფების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.
- მედია წარმოების ბლოკის მიზნების, ამოცანების და შედეგების ეფექტიანად გაზომვის უზრუნველსაყოფად იგეგმება okrs მეთოდოლოგიის შესწავლა შემდგომი გამოყენების მიზნით.

ნაკლოვანებები/სურვილები

- **პროექტების მართვის არადამაკმაყოფილებელი უნარები** - სასურველია ჩატარდეს ტრეინინგები პროექტების მართვის უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- **თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით დაბალი კვალიფიკაცია** - სასურველია ჩატარდეს ტრეინინგები თანამედროვე ტექნოლოგიების უკეთ ათვისების მიზნით.
- **სახელფასო რანჟირებების ნაკლოვანებები** - სახელფასო რანჟირებების რეგულაციის მიზნით განსახორციელებელია მედია წარმოების ბლოკში დასაქმებული ადამიანური რესურსების კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოცულობის ანალიზი, ნაკლოვანების აღმოთხვრის მიზნით.
- **სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციის მიმართულებით ნაკლოვანებები**- კომუნიკაციის ფორმების /სტანდარტების დახვეწა

- **პროექტების მულტიმედიალურობა** - საჭიროა ტრეინიგების ჩატარება პროექტების მულტიმედიურობის არსის უკეთ შესასწავლად

ინოვაციური ლაბორატორია

სიახლეები

- იანვარში მოხდა ძირითადი პრინციპების და მოქმედების გეგმის ჩამოყალიბება.
- შემოვიდა 60 მდე აპლიკაცია. პარალელურად ხდება მათი სელექცია.
- მედია წარმოების ბლოკის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დარგში.
- ლაბორატორიის ინიციატივით პირველად ქართულ მედია სივრცეში განხორცელდა მაუწყებლის გადაცემების (რომელებიც ლაივში გადის) ფეისბუქზე ლაივსტრიმით მაუწყებლობა.
- დაიგეგმა მოამბის ინტეგრირება მულტიმედიურ და ინტერაქტიულ მედია სივრცეებში.
- ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია რამდენიმე პროექტი, რომელიც ფორმატდება ლაბ ბორდთან წარსადგენად.
- რადიოს დღესთან მიძღვნილ ღონისძიებისთვის ლაბორატორიის ინიციატივით მზადდება პრომო ვებგვერდი ისტორიული თაიმლაინით, სადაც საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება ნახოს როგორ ვითარდებოდა რადიო, საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ინტერაქტიულ რაჟიმში.

გეგმები

- იგეგმება პირდაპირი შეხვედრები საზოგადოებასთან და მათი ჩართულობის ინიცირება მაუწყებლის ინოვაციურ ლაბორატორიაში.
- მუშავდება "სამოქალაქო ჟურნალისტიკის" პროექტი, რომელიც ნაწილობრივ განხორციელდა გადაცემაში "რეალური სივრცე".
- იგეგმება მოამბის ჯგუფთან შეხვედრა /სემინარი თანამედროვე ტექნოლოგიების და სოცმედია პლატფორმების ათვისების მიზნით.
- ლაბორატორია ქმნის ალტერნატიული მაუწყებლობის პლატფორმას, სადაც განთავსდება ინოვაციური კონტენტი.

II. მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

საზოგადობრივი მაუწყებლის პირველი არხის საეთერო ბადეს დაემატა შემდეგი ახალი გადაცემები: : "მუსიკოლოგოსი" ; „დღე მუზეუმში"; „ადამიანი კამერით"; „წიგნების თარო"; „ზღვარზე"; „ვექტორი"; „კვირის მოამბე"; „ცხოვრება ციფრეფში", ხოლო „საზოგადოებრივი რადიო ერთის" ბადეს - „რადიობლოგერი"; „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები"; „ჩვენი საქართველო"; „იგს ბოქსი".

საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუერთდა უამრავ სოციალურ/ საზოგადოებრივ პროექტსა თუ ღონისძიებას , მათ შორის დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, იუნესკოს მიერ ორგანიზებულ „მსოფლიო რადიოს დღის" აღნიშვნას, ფილტვის იდიოპათიური ფიბროზის დაავადების საინფორმაციო კამპანიას; განხორციელდა აქტივობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით.

პირველ კვარტალში მოხდა მაღალრეიტინგული ამერიკული სერიალის „ბანქოს სახლი" მეოთხე სეზონის შესყიდვა, მისი პრემიერიდან უმოკლეს ვადაში; მოხდა საერთაშორისო ავტორალის თერთმეტ რბოლიანი სერიის ლიცენზიის შესყიდვა;

ამჟამად, ინტენსიურად მიმდინარეობს კანის საერთაშორისო ბაზრობიდან და სქრინინგებიდან (MIPTV 2016-ისფარგლებში გამართული MIP DRAMA სქრინინგი, იტალიის საზოგადოებრივი ტელევიზიის RAI-ს სქრინინგი) ჩამოტანილი მასალის შესწავლა და დახარისხება შემდგომი ეტაპებისთვის; გახმოვანდა დიდი მოცულობის მასალა: იანვარში - 68.41 სთ; თებერვალში - 82.28სთ; მარტში - 88.33სთ.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაასრულა ვებ გვერდებზე - **gpb.ge; 1tv.ge; 2tv.ge; radio1.ge; eurovision-georgia.ge; junior.eurovision-georgia.ge; tqvi.ge** - მუშაობა. განხორციელდა მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია მითითებულ ვებ-გვერდებზე.

იდეური თავალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პირველი არხის გადაცემისთვის „ზღვარზე ტელებლოგში" ახალი ვებ-გვერდის - http://zgvarze.1tv.ge დამზადება. პროექტი 24/7 რეჟიმში "მაუწყებლობს". ვიზიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია „იმოგზაუროს" საქართველოს საზღვრისპირა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე, მისთვის სასურველი მარშრუტისა და თხრობის ფორმის შერჩევით.

ამჟამად მუშავდება: ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებული ფეისბუკ-აპლიკაციები; აფხაზურენოვანი ვებ-გვერდი; **Public.ge.**

პირველი კვარტალი წარმატებული იყო სარეკლამო გაყიდვების თვალსაზრისითაც.ამ პერიოდისათვის გაწეული საბარტერო მომსახურების ღირებულებამ ჯამში შეადგინა 5500 აშშ დოლარი და 53 899 ლარი, ხოლო კომერციული რეკლამის ტელე განთავსების შედეგად შემოსულმა თანხამ - 46 655 აშშ დოლარი და 3513,90 ლარი.

წლის დასაწყისიდან, ახალი პროგრამის „infosyc" მეშვეობით, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორცილდება "people meters"-ების საშუალებით.

მარტიდან დაიწყო საექსპერტო კვლევის ორგანიზება: შეირჩა და მიმართულებების მიხედვით დაკომპლექტდა ექსპერტთა ჯგუფები (სულ 24 ექსპერტი), სამუშაო მასალა დაეგზავნათ ექსპეტრებს, მიმდინარეობს მუშაობა.

15 მარტიდან დაიწყო მზადება თვისობრივი კვლევისთვის – პანელური, ჯგუფური დისკუსიის მეთოდით. კვლევის ობიექტია საზ. მაუწყებლის პირველი და მეორე არხების 14 გადაცემა. აღნიშნული კვლევები ემსახურება პროდუქტის სრულყოფილ შესწავლას, მისი შემდგომი გაუმჯობესების, ხარისხის აწევის მიზნით.

ბლოკისათვის პრიორიტეტულია ორგანიზაციის იმიჯის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა, რაც ემსახურება მომხმარებლის გრძელვადიანი უპირატესობის, ლოიალურობის და ნდობის მოპოვებას. სხვადასხვა სახის აქტივობა განხორციელდა ამ კუთხით მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ეფექტური შიდა და გარე კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების თვალსაზრისით, 2016 წლის პირველი კვარტალი იყო აქტიური და ნაყოფიერი მედიისა და კომუნიკაციის ბლოკისათვის.

III. ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის კვარტალური ანგარიში

საკონსულტაციო ჯგუფის INNOVATION დახმარებით შეიქმნა ***ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელო***. 200-გვერდიანი დოკუმენტი დეტალურად ასახავს, მედია-ბაზრის ანალიზს, მულტი-მედიურ ბრენდზე გადასვლის აუცილებლობას, ახალი სტრუქტურის აღწერას და მისი მუშაობის მექანიზმებს, დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას. შეიქმნა აღმასრულებელ ჯგუფი, რომელიც გეგმის იმპლემენტაციაზე იმუშავებს. ჩატარდა გეოლოგიური კვლევა და შეიქმნა ახალი ნიუსრუმის პირველადი არქიტექტორული პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად მერიას გადაეგზავნა. მერიის არქიტექტურის სამსახურიდან მუშა პროექტის შემუშავებაზე თანხმობა მიღებულია. ივნისის ბოლომდე დასრულდება მუშა პროექტის დამუშვება. ახალი ნიუსრუმის დასრულების თარიღად 2017 წლის თებერვალი მოიაზრება.

- სსმ-ს ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ***ქეთი ქარდავას რეპორტაჟი ბრიუსელის აეროპორტიდან.*** საზოგადოებრივი და მისი კორესპონდენტი მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში. ამ კონკრეტულმა შემთხვევამ დაადასტურა მულტიმედიური ჟურნალისტიკის შესაძლებლობები და მასზე გადასვლის აუცილებლობა.
- ***„მოამბეს“ დაემატა 18:00-სთ-იანი გამოშვება.***მისი ხანგრძლივობა 1 საათია. გამოშვების ფორმატი განსაკუთრებით აქტუალური გახდება საარჩევნო პერიოდში. საანგარიშო პერიოდში 20-საათიანი გამოშვების ქრონომეტრაჟი 30-იდან 40 წუთამდე გაიზარდა.
- პროექტმა ***გამომძიებელი რეპორტიორი***განაახლა საქმიანობა და დაიწყო მუშაობა საგამოძიებო ფილმზე. მისი ჩვენება შემდეგ საანგარიშო პერიოდშია დაგეგმილი.

საანგარიშო პერიოდში ეთერში ჩაეშვა შემდეგი გადაცემები:

მოამბე კვირას - გადის კვირას 20:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 1 სთ.კვირის შემაჯამებელი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა აქცენტს აკეთებს კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ანალიზზე, ექსკლუზიურ ინტერვიუებსა და რეპორტაჟებზე.

ვექტორი პირველი სატელევიზიო არხის ყოველკვირეული ანალიტიკური გადაცემა მიმოიხილავს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. გადაცემა ეთერშია ყოველ კვირა დღეს, 23:00 სთ-ზე. მისი ქრონომეტრაჟია 26 წუთი.

ცხოვრება ციფრებში - ამ პროგრამის დაწყებით დასრულდა საღამოს თოქ-შოუების ბლოკის ფორმირება. პროგრამა მიმდინარე მოვლენებისა და პრობლემური საკითხების ანალიზს ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით ახორციელებს.

ჩვენი საქართველოსაზოგადოებრივი რადიო 1-ის ყოველკვირეული ინტერაქტიული თოქ-შოუ ეძღვნება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკას.

ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის I კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 740.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 364.8 ათასი ლარი, სულ 10 105.4 ათასი ლარი.

წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელება, ტექნიკური კონტროლი-მონიტორინგი:

1. ტექნიკური სამსახურის მიერ ხდებოდა მაუწყებლობის ხარისხის მონიტორინგი, შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირება და გავრცელების საშუალებების განვითარების გეგმარება.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამების გავრცელების სამსახურის მიერ ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას გაეგზავნა ოფიციალური მოთხოვნა, რადიომაუწყებლობისათვის დამატებითი სამაუწყებლო სიხშირეების გამოყოფის შესახებ. ასლი გადაეგზავნა შპს „ტელერადიოცენტრს“. მიმდინარეობს მუშაობა ახალი რადიო გადამცემების დამატების გეგმაზე.

სატელიტური გავრცელების პლათფორმა, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისა და ახალი-“Flex” ქსელური პლათფორმის ინსტალირების სამუშაოები ჩატარებული იქნა იმ მიმღებ-გადამცემ ტექნიკაზე, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პროგრამების საერთაშორისო გაცვლის პროექტებს ემსახურება. (EBU FNRMN Network/FLEX Platform).

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თითოეული სტრუქტურული დანაყოფის 2016 წლის პირველი კვარტლის დეტალური ანგარიში იხილეთ თანდართულ დანართში.